

სს მეტრო ჯორჯია პეტროლი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	7
4. საწარმოთა გაერთიანება	8
5. ძირითადი საშუალებები	8
6. ფული და ფულის ექვივალენტები	9
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	9
8. მარაგები	9
9. სააქციო კაპიტალი	9
10. მიღებული სესხები	9
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	9
12. ამონაგები	10
13. სხვა შემოსავალი	10
14. გახარჯული მარაგები	10
15. სხვა საოპერაციო ხარჯები	10
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	10
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	11
18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11

სს მეტრო ჯორჯია პეტროლი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	1,594,790	1,603,403	955,571
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6	108,382	109,779	92,883
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,181,260	883,630	747,385
მარაგები	8	283,330	247,690	67,090
წინასწარ გაწეული ხარჯები		40,110	10,135	-
		1,613,082	1,251,234	907,358
სულ აქტივები		3,207,872	2,854,637	1,862,929
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	9	2,700,000	1,700,000	110,000
გაუნაწილებელი მოგება		-	390,854	147,646
		2,700,000	2,090,854	257,646
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	10	377,286	422,235	1,315,028
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		15,567	20,844	13,154
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	113,837	117,233	267,759
მიღებული ავანსები		1,182	2,246	4,482
მიღებული სესხები	10	-	201,225	4,860
		130,586	341,548	290,255
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,207,872	2,854,637	1,862,929


ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2020 წლის 6 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ქ. ათან

დირექტორი



რ. კახაძე

სს მეტრო ჯორჯია პეტროლი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	1,594,790	1,603,403	955,571
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6	108,382	109,779	92,883
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,181,260	883,630	747,385
მარაგები	8	283,330	247,690	67,090
წინასწარ გაწეული ხარჯები		40,110	10,135	-
		1,613,082	1,251,234	907,358
სულ აქტივები		3,207,872	2,854,637	1,862,929
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	9	2,700,000	1,700,000	110,000
გაუნაწილებელი მოგება		-	390,854	147,646
		2,700,000	2,090,854	257,646
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	10	377,286	422,235	1,315,028
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		15,567	20,844	13,154
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	113,837	117,233	267,759
მიღებული ავანსები		1,182	2,246	4,482
მიღებული სესხები	10	-	201,225	4,860
		130,586	341,548	290,255
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,207,872	2,854,637	1,862,929

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2020 წლის 6 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ქ. ათან

დირექტორი

რ. კახაძე

სს მეტრო ჯორჯია პეტროლი

სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო შემოსავლები			
ამონაგები	12	9,235,851	10,057,132
სხვა შემოსავალი	13	366,131	-
		9,601,982	10,057,132
საოპერაციო ხარჯები			
გახარჯული მარაგები	14	(8,566,740)	(9,425,572)
ხელფასის ხარჯი		(174,534)	(153,965)
ცვეთა		(50,589)	(64,127)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(142,114)	(122,937)
		(8,933,977)	(9,766,602)
საოპერაციო მოგება		688,006	290,531
საპროცენტო ხარჯი		(39,806)	(55,703)
კურსთაშორის სხვაობა		2,718	8,380
მოგება დაბეგვრამდე		630,918	243,208
მოგების გადასახადი		(2,022)	-
წმინდა მოგება		628,896	243,208

სს მეტრო ჯორჯია პეტროლი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2018		110,000	147,646	257,646
მთლიანი სრული შემოსავალი		-	243,208	243,208
სააქციო კაპიტალის ზრდა		1,590,000		1,590,000
31 დეკემბერი 2018		1,700,000	390,854	2,090,854
მთლიანი სრული შემოსავალი		-	628,896	628,896
საწარმოთა გაერთიანება	4	1,000,000	(367,459)	(1,367,459)
დივიდენდის განაწილება		-	(652,291)	(652,291)
31 დეკემბერი 2019		2,700,000	-	2,700,000

7 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს მეტრო ჯორჯია პეტროლი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		630,918	243,208
კორექტირებები:			
ცვეთა		50,589	64,127
მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(332,895)	-
ცვეთის ამობრუნება		(33,237)	-
საპროცენტო ხარჯი		39,806	55,703
საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა (მოგება)/ზარალი		(2,718)	(8,380)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		352,463	354,658
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(208,924)	(134,447)
გადახდილი ავანსების ზრდა		(29,975)	(10,135)
მარაგების ზრდა		(35,640)	(180,600)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		(2,313)	7,690
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		3,276	10,182
მიღებული ავანსების შემცირება		(1,064)	(42,521)
ფულადი ნაკადების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და დაბეგვრამდე		77,823	4,827
გადახდილი პროცენტები		(49,547)	(48,812)
გადახდილი მოგების გადასახადი		(2,022)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		26,254	(43,985)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(35,344)	(711,959)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		30,809	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(4,535)	(711,959)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
მიღებული სესხების ზრდა		197,000	797,449
მიღებული სესხების დაფარვა		(305,639)	(691,638)
კაპიტალის ზრდა		-	652,291
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		(108,639)	758,102
წმინდა ფულადი სახსრების (შემცირება)/ზრდა		(86,920)	2,158
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6	109,779	92,883
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე		2,718	14,738
შერწყმის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები	4	82,805	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	6	108,382	109,779

7 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

1. ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება მეტრო ჯორჯია პეტროლი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2016 წლის 30 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა საპოხი, საცივებელი პროდუქტებით და სხვა საავტომობილო სათბობით სპეციალიზებულ მაღაზიებში (საპოხი ზეთი (მანქანის), საწვავი).

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, გოგოლის ქუჩა #1. კომპანიის ღირებულებები არიან ქუმსალ ათან, ლაშა დავითაძე და რაულ კახაძე.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ის მფლობელია სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია არ ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას, შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტსა და აქციონერებს განზრახული აქვთ კომპანიის ბიზნესის შემდგომი განვითარება საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვლადი, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვლადი, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

სს მეტრო ჯორჯია პეტროლი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

4. საწარმოთა გაერთიანება

კომპანიას 2019 წლის 10 მაისს შეერწყა დაკავშირებული მხარე - სს მეტრო რენტ ე ქარ. კომპანიას გაეზარდა საწესდებო კაპიტალი 1,000,000 აქციით და აღნიშნულის შედეგად კომპანიის ბალანსზე გადმოვიდა შემდეგი აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	ღირებულება
აქტივები	
ფული და მისი ეკვივალენტები	82,805
ძირითადი საშუალებები	365,739
მოკლევადიანი მოთხოვნები	54,790
წინასწარ გაწეული ხარჯები	5,630
კაპიტალი	
დაუფარავი ზარალი	367,458
სააქციო კაპიტალი	(1,000,000)
ვალდებულებები	
საგადასახადო ვალდებულებები	(2,667)
მოკლევადიანი ვალდებულებები	(1,550)
სესხის შემცირება	127,795

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტომობილები	სულ
1 იანვარი 2018	55,734	794,081	133,149	15,613	25,379	1,023,956
შესყიდვა	707,449	650	483	3,377	-	711,959
31 დეკემბერი 2018	763,183	794,731	133,632	18,990	25,379	1,735,915
შესყიდვა	-	-	4,075	7,507	23,762	35,344
შემოსვლა შერწყმის შედეგად	-	-	4,994	8,901	633,914	647,809
გასვლა	-	-	(8,648)	(8,092)	(657,675)	(674,415)
31 დეკემბერი 2019	763,183	794,731	134,053	27,306	25,380	1,744,653
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2018	-	(45,991)	(21,371)	(842)	(181)	(68,385)
ცვეთა	-	(39,398)	(18,002)	(3,433)	(3,294)	(64,127)
31 დეკემბერი 2018	-	(85,389)	(39,373)	(4,275)	(3,475)	(132,512)
ცვეთა	-	(15,895)	(24,368)	(5,250)	(5,076)	(50,589)
ცვეთის ამობრუნება	-	33,237	-	-	-	33,237
შემოსვლა შერწყმის შედეგად	-	-	(3,398)	(5,981)	(272,691)	(282,070)
გასვლა	-	-	3,398	5,981	272,692	282,071
31 დეკემბერი 2019	-	(68,047)	(63,741)	(9,525)	(8,550)	(149,863)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2018	55,734	748,090	111,778	14,771	25,198	955,571
31 დეკემბერი 2018	763,183	709,342	94,259	14,715	21,904	1,603,403
31 დეკემბერი 2019	763,183	726,684	70,312	17,781	16,830	1,594,790

6. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული სალაროში	21,585	18,205	40,505
ფული ბანკში	86,797	91,574	52,378
	108,382	109,779	92,883

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოთხოვნები:			
სავაჭრო	709,211	421,659	212,583
მიწის რეალიზაციიდან	349,656	426,773	508,356
სხვა	122,393	35,198	26,446
	1,181,260	883,630	747,385

8. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მცირეფასიანი ინვენტარი	155,738	158,616	67,090
საწვავი	127,592	79,328	-
სხვა	-	9,746	-
	283,330	247,690	67,090

მცირეფასიანი ინვენტარი შედგება საწვავის ჩასასხმელი აპარატის ნაწილებისგან როგორცაა ტუმბო, მისი ნაწილები, გადამყვანები, მილები, მავთულები და სხვა.

9. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალის ნაშთი შესაბამისად 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 2,700,000 ლარს, 1,700,000 ლარს და 110,000 ლარს, რომლებიც შედგება 2,700,000, 1,700,000 და 110,000 აქციისგან. 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი.

10. მიღებული სესხები

	ვალუტა	%	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
თიბისი ბანკი	დოლარი	7.50%	377,286	422,235	459,620
თიბისი ბანკი	ლარი	12%	-	-	654,254
მშობელი	ლარი	11%	-	32,291	206,014
კომპანია	ლარი	11%	-	168,934	-
კომპანია საერთო კონტროლის ქვეშ	ლარი	11%	-	168,934	-
			377,286	623,460	1,319,888

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ვალდებულებები			
სავაჭრო	99,610	93,662	264,489
სახელფასო	10,176	-	-
სხვა	4,051	23,571	3,270
	113,837	117,233	267,759

სს მეტრო ჯორჯია პეტროლი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

12. ამონაგები

	2019	2018
შემოსავალი:		
საწვავის გაყიდვიდან	8,802,624	9,981,044
საცალო ვაჭრობიდან	401,986	72,054
სხვა	31,241	4,034
	9,235,851	10,057,132

13. სხვა შემოსავალი

	2019	2018
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	332,894	-
ცვეთის ამობრუნება	33,237	-
	366,131	-

14. გახარჯული მარაგები

	2019	2018
საწვავი	(8,185,058)	(9,362,453)
საცალო ვაჭრობა	(381,682)	(63,119)
	(8,566,740)	(9,425,572)

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
საგადასახადო ხარჯი	(21,971)	(13,627)
კომუნალურები	(16,949)	(17,917)
ავტომობილის შენახვის ხარჯი	(14,337)	(7,630)
საწვავი	(14,114)	(7,065)
იჯარა	(12,932)	-
კვებით მომსახურება	(10,069)	(11,090)
ორის მენეჯერი (მენეჯმენტის სერვისი)	(8,400)	(11,449)
ფიზიკური პირების მომსახურება	(6,500)	(5,429)
პროფესიონალური სერვისები	(6,020)	-
ბანკი	(5,919)	(1,768)
საკანცელარიო	(1,500)	(1,286)
დაცვა	(1,322)	(1,322)
სხვა	(22,081)	(44,354)
	(142,114)	(122,937)

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019		2018		2017	
	მშობელი	სხვა	მშობელი	სხვა	მშობელი	სხვა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება						
მოთხოვნები	38,256	736,803	-	547,455	-	587,350
ვალდებულებები	-	2,323	11,377	7,493	574	-
სესხები	-	-	32,291	168,934	206,015	-

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	2019		2018	
	მშობელი	სხვა	მშობელი	სხვა
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
შემოსავალი	770	1,611,717	1,862	1,284,894
აქტივების რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე	-	722,125	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	(8,400)	(15,608)	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	(4,370)	-	-

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კორონა ვირუსით გამოწვეული ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. ზოგადად ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- შემცირებული მომხმარებლების მოთხოვნა პროდუქციაზე გამოწვეული შემოსავლის დაკარგვით და/ან მომხმარებლის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვით
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით;
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა. ამ შეზღუდვებს არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	დოლარი	ლირა
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	0.4821
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	0.5076
კურსი 2018 წლის 1 იანვრისთვის	2.5922	0.6874

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი პროდუქციის გაყიდვიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმოდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად კომპანიამ წარადგინა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან,

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
შენობა-ნაგებობები	30-50
მანქანა-დანადგარები	10-40
ოფისის აღჭურვილობა	3-10
ავტომობილები	3-10

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველ საანგარიშო პერიოდში, რათა შეფასება მოხდეს არის თუ არა საბალანსო ღირებულება მეტი შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებაზე. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში. კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვის შექმნის საჭიროება წარმოიშება მხოლოდ მაშინ როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი რომ კომპანია ვერ შეძლებს ამ თანხების დაბრუნებას.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. მიღებული სესხები შემდეგ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და შედის ფინანსურ ხარჯებში. მიღებული სესხები წარდგება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კომპანიას აქვს ვალდებულების გადავადების უპირობო უფლება საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი, სანამ ისინი არ მოხდებიან ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების განმარტებაში. კომპანიის ჩვეულებრივი აქცია კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტი.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

საანგარიშგებო პერიოდის შემგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ გაშიფრულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.